

უფლებადამცველი ვიტალი საფაროვის მკვლევლობის საქმის დეტალები და სამართლებრივი შეფასება

2019

ადამიანის უფლებათა ცენტრი აგრძელებს 2018 წლის 30 სექტემბერს სასტიკად მოკლული უფლებადამცველის, ვიტალი საფაროვის უფლებამონაცვლის ინტერესების დაცვას, ამჯერად - სასამართლოში.

2019 წლის 10 ივნისს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლომ გამოაცხადა განაჩენი სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, რომლის თანახმად, მოსამართლემ ბრალდებულები დამნაშავედ ცნო მხოლოდ ჯგუფურად ჩადენილ მკვლევლობაში და არ დაადგინა ეთნიკური შეუწყნარებლობის ნიშანი.

ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, ეს გადაწყვეტილება ვერ პასუხობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 259-ე მუხლის I ნაწილით დადგენილ სტანდარტს. ამ და მსგავს საქმეებზე სწორი სასამართლო პრაქტიკის დადგენისათვის მნიშვნელოვანია, ზემდგომმა ინსტანციამ გამოასწოროს გადაწყვეტილებაში არსებული ხარვეზები.

ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ მომზადებული ანალიტიკური დოკუმენტის მიზანია, მიმოიხილოს ვიტალი საფაროვის საქმის მიმდინარეობის დეტალები, ყურადღება გაამახვილოს არსებულ სამართლებრივ ხარვეზებზე, შეაფასოს სასამართლოს განაჩენი და შესაბამისად, შეიმუშავოს გარკვეული რეკომენდაციები.

1. ზოგადი კონტექსტი

სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულები საქართველოს სახელმწიფოსთვის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება. ბოლო დროს განვითარებული არაერთი მოვლენა ნათლად აჩვენებს საზოგადოებაში სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულის საფრთხის მზარდ ტენდენციას, რომლის საპასუხოდაც, სახელმწიფოში არ არსებობს ერთიანი პრევენციული მექანიზმები და სახელმწიფო მხოლოდ კონკრეტულ ფაქტებზე რეაგირებით შემოიფარგლება, რაც ხშირად არაეფექტიანი და არასრულყოფილია.

მშ. | 2

უფლებადამცველი ვიტალი საფაროვის საზარელმა მკვლელობამ კიდევ ერთხელ დაადასტურა რეალური საფრთხის არსებობა საზოგადოებისთვის, რაც ბოლო წლებში გაზრდილი ნეონაციისტური/ფაშისტური შეხედულების ჯგუფებიდან მომდინარეობს, რასაც ახალისებს და ხელს უწყობს სახელმწიფოში არარსებული პოლიტიკური ნება, ასევე - სახელმწიფოს უმოქმედობა ულტრამემარჯვენე ექსტრემისტი და ნაციონალისტური ჯგუფების აშკარად დანაშაულებრივი ხასიათის ქმედებებისა და მოწოდებებისას. რიგ შემთხვევებში პრობლემურია თავად მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირების, პოლიტიკური მოღვაწეებისა და რელიგიური პირების მიერ სიძულვილის ენის ტირაჟირება და ცალკეული მედიასაშუალებების ცალსახად დისკრიმინაციული დისკურსი.

სახელმწიფოში არ არსებობს დისკრიმინაციული დანაშაულების პრევენციის სისტემური პოლიტიკა და იგი მხოლოდ ცალკეულ ინციდენტებზე რეაგირების მცდელობით შემოიფარგლება. თანასწორობის იდეებისადმი მხარდაჭერის დეფიციტი და სახელმწიფოს მიერ გატარებული სუსტი და არაეფექტიანი პოლიტიკა ცალსახად ართულებს ინკლუზიური, თანასწორი და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპზე ორიენტირებული საზოგადოების მშენებლობას¹. ქვეყანაში არსებული გაუმართავი სოციალური პოლიტიკის ფონზე და საზოგადოებაში გაზრდილი სოციალური-ეკონომიკური უთანასწორობის შეუვალი ზრდიდან გამომდინარე კი სავარაუდოა აღნიშნული ტიპის დანაშაულთა ზრდა, რაც განსაკუთრებით საფრთხის შემცველია, რამდენადაც არ არსებობს ამ პრობლემის მოგვარების არათუ გრძელვადიანი - პრევენციული პოლიტიკა, არამედ ვერ ფუნქციონირებს ვერც პროაქტიული რეპრესიული მექანიზმი, რაც აუცილებელია ადამიანის უფლებების დაცვისა და რეალიზებისათვის საზოგადოებაში.

¹ იხ. მიმართვა - პლატფორმა „არა ფობიას!“ ვიტალი საფაროვის მკვლელობის ჯგუფურად ჩადენილ დანაშაულად კვალიფიკაციას ითხოვს:
<http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19792&lang=geo>

სახელმწიფო თავს არიდებს საკუთარი მოვალეობის შესრულებას და არ ახდენს სათანადო რეაგირებას მსგავსი დაჯგუფებების კანონსაწინააღმდეგო და ძალადობრივ ქმედებებზე. ამ ჯგუფების აგრესია და შეუწყნარებლობა, დიდწილად, მიმართულია კულტურულად არადომინანტი სხვადასხვა უმცირესობის ჯგუფებისა და ლიბერალური შეხედულებების მქონე ადამიანების მიმართ. სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე არასათანადო რეაგირების პრაქტიკა საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ წესრიგს, ახალისებს მსგავს ჯგუფებს და ხელს უწყობს საზოგადოების პოლარიზაციას, ასევე - ქსენოფობიური, რასობრივი, ჰომოფობიური და სხვა ნიშნით, სიძულვილის დანერგვას.

მნიშვნელოვანია, ამ პროცესში სახელმწიფოს მიერ საკუთარი არა მხოლოდ ნეგატიური, არამედ პოზიტიური დაცვის ვალდებულების გააზრება და მისი როლის გაცნობიერება. ამასთან, ადეკვატური სამართლებრივი მექანიზმების შექმნასა და სამართლის ნორმების იმპლემენტაციასთან ერთად, აუცილებელია ტოლერანტობისა და თანასწორობის მხარდამჭერი ოფიციალური განცხადებებით, ცნობიერების ამაღლების კამპანიებითა და სხვა მექანიზმებით, ხელისუფლებამ ხელი შეუწყოს დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის პროცესს და უსაფრთხო, შემწყნარებლური პოლიტიკური გარემოს ჩამოყალიბებას.

2. ვიტალი საფაროვის საქმის სამართლებრივი შეფასება

სიძულვილით მოტივირებული ძალადობის საფრთხის რეალურობაზე საქართველოში ბოლო დროს განვითარებული შემაშფოთებელი მოვლენები და პრეცედენტებიც მეტყველებს². ამ ძალადობრივი ტენდენციების ყველაზე აშკარა დემონსტრირება იყო ვიტალი საფაროვის მკვლელობა.

2018 წლის 30 სექტემბერს თბილისში, დიუმას ქუჩაზე სასტიკად მოკლეს 25 წლის უფლებადამცველი ვიტალი საფაროვი. იგი ჩართულობის და განვითარების ცენტრში მუშაობდა და მრავალი წლის მანძილზე აქტიურად მონაწილეობდა მოზარდებისთვის ტოლერანტული ბანაკების ორგანიზებაში და სხვა პროექტებში, რომელთა მიზანი იყო რასიზმის, ქსენოფობიისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა.

მომხდართან დაკავშირებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება იმავე დღეს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით დაიწყო, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს. მალევე, პოლიციამ აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით დააკავა ორი ეჭვმიტანილი: გიორგი სოხაძე,

² იხ. მიმართვა - პლატფორმა „არა-ფობიას!“ ეხმაურება „ჰომოფობიასთან, ტრანსფობიასა და ბიფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს“:

<http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19858&lang=geo>

რომელსაც ბრალი სსკ-ის 108 მუხლით წარედგინა და ავთანდილ კანდელაკიშვილი, რომელსაც გამოძიება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობას ედავებოდა, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 376-ე მუხლით.

საგამოძიებო ორგანოს მხრიდან ქმედების თავდაპირველი კვალიფიკაცია იმთავითვე სადავო და არადაამაჯერებელი იყო უშუალოდ დანაშაულის შემსწრე პირებისა და ვიტალი საფაროვის ოჯახის წევრებისათვის. აღნიშნული ეჭვი მალევე დადასტურდა სოციალურ ქსელში გავრცელებული ვიდეოკადრებით, რომელიც დანაშაულის ადგილთან მდებარე კაფე „საბვეის“ სათვალთვალო ვიდეოკამერით იყო გადაღებული. მასში ნათლად ჩანდა ქმედებაში ორივე პირის უშუალო თანამონაწილეობა - შეუტყობინებლობისთვის ბრალდებული პირი აკავებდა მსხვერპლს და თავადაც ურტყამდა კასტეტს. ყოველივე ეს დანაშაულის ჭკუფურობაზე მიუთითებდა. ამასვე ადასტურებდა დანაშაულის თვითმხილველ მოწმეთა ჩვენებებიც, სათვალთვალო ვიდეოკამერებით გადაღებული კადრები, საქმეში არსებული დანაშაულის ორი იარაღი და მსხვერპლისთვის სხეულზე მიყენებული ჭრილობები. ამდენად, დანაშაულის შეუტყობინებლობისათვის ბრალდებული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა თავიდანვე განზრახ მკვლელობაში თანამონაწილეობისათვის უნდა დაწყებულიყო. შესაბამისად, როგორც ადამიანის უფლებათა ცენტრის ასევე ჩართულობისა და განვითარების ცენტრის ერთობლივი მოთხოვნა თავიდანვე იყო სისხლის სამართლებრივი კვალიფიკაციის 108-ე მუხლიდან 109-ზე გადაკვალიფიცირება³.

გარდა ჭკუფურობისა, თვითმხილველები და ადგილზე მყოფი ადამიანები თავიდანვე მიაჩნებდნენ დანაშაულის სიძულვილით ჩადენის მოტივზე. ბარში მომუშავე პერსონალი თავიდანვე აღნიშნავდა სავარაუდო დამნაშავეთა ნეონაცისტური დაჯგუფების წევრობაზე და მათ პერმანენტულ სიძულვილით მოტივირებულ აქტივობებზე, უცხოელთა შევიწროებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაზე, რასაც პოლიციის ადეკვატური რეაგირება არასოდეს მოჰყოლია. ხოლო შელაპარაკება, რომელსაც მკვლელობა მოჰყვა, თვითმხილველთა თქმით, სწორედ ეთნიკურ და ენობრივ ნიადაგზე დაიწყო და ბრალდებულთა დანაშაულებრივი ქმედებაც სწორედ ამ მიზნით იყო დეტერმინირებული.

შემაშფოთებელია პოლიციის მიერ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულზე რეაგირების არქონა, რამდენადაც სწორედ სისხლისსამართლის პოლიტიკის სისუსტემ და არაკატეგორიულმა მიდგომამ ამ დანაშაულებისადმი თავისი წვლილი შეიტანა ქსენოფობიური, ფაშისტური ჭკუფუების გააქტიურებაში და სიძულვილის გაღვივებაში, რაც ამ და მსგავსი დანაშაულების პრევენციული

³ იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრისა და ჩართულობის და განვითარების ცენტრის ერთობლივი მიმართვა - უფლებადამცველ ვიტალი საფაროვის მკვლელობის საქმეზე დაწყებული გამოძიება არასწორი კვალიფიკაციით მიმდინარეობს: <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19703&lang=geo;>

აღკვეთის ნაწილში, განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას ანიჭებს სახელმწიფოსა და შესაბამისი თანამდებობის პირებს. ამასთან, აღნიშნული პასუხისმგებლობის სახელმწიფოსადმი მინიჭების განსაკუთრებულ როლზე, ვკითხულობთ 1993 წლის 16 მარტის 4/91 შეტყობინებაში საქმეზე **L. K. v. the Netherlands**, რომელიც შეეხებოდა კერძო პირების მიერ ბ-ნი ლ.კ.-ს მისამართით რასობრივი ხასიათის მუქარას და ხელისუფლების ორგანოების მიერ მსხვერპლის საჩივარზე არასაკმარის რეაქციას, რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტმა განაცხადა, *inter alia*, რომ სახელმწიფოს ეკისრებოდა ვალდებულება, გულმოდგინედ და დროულად გამოეძიებინა საქმეები, რომლებიც შეეხებოდა რასობრივ დისკრიმინაციასა და ძალადობაში ბრალდებას⁴.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, მოტივთან დაკავშირებით შეცდომის დაშვების თავიდან ასაცილებლად, გამოძიებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს „მოტივის ცვლილებას ახალი მტკიცებულების აღმოჩენის გამო“ – რადგან, შესაძლოა, თავდაპირველად არ ჩანდეს, რომ დანაშაული სიძულვილის მოტივით არის ჩადენილი, მაგრამ ეს გარემოება გამოძიების შემდეგ ეტაპზე გამოიკვეთოს. ასევე, შესაძლოა, თავდაპირველად არსებობდეს მტკიცებულება, რომ დანაშაული რასობრივი სიძულვილის საფუძველზე არ მოხდა, მაგრამ მოგვიანებით დადგინდეს აღნიშნული სიძულვილის მოტივი. ახლად აღმოჩენილი მტკიცებულების შემთხვევაში, მონაცემები უნდა განახლდეს⁵.

ადამიანის უფლებათა ცენტრის არაერთი მოთხოვნისა და სამოქალაქო საზოგადოების ერთსულოვანი ძალისხმევით, 2018 წლის 31 ოქტომბერს, გამოძიების ეტაპზე, პროკურორის დადგენილებით, ბრალდებულ გიორგი სოხაძის მიმართ საქმე რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობის გამო განზრახ მკვლელობის ჩადენის მუხლით გადაკვალიფიცირდა, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით. თუმცა, მოთხოვნის მიუხედავად, მეორე ბრალდებულის მიმართ საქმის წარმოება კვლავ შეუტყობინებლობის ბრალდებით გაგრძელდა.

ბოლო პერიოდში დამკვიდრებული პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც ჯგუფურად ჩადენილ დანაშაულებზე გამოძიება არ მიმდინარეობს შესაბამისი კვალიფიკაციით, უფლებადამცველი საზოგადოებრივი ორგანიზაციების კრიტიკის საგანი გახდა, რასაც მათი მხრიდან მოჰყვა არაერთი მიმართვა პროკურატურისადმი, სადაც მოთხოვნილი იყო საქმეზე ობიექტური გამოძიება და ბრალდების გადაკვალიფიცირება ჯგუფურად ჩადენილ დანაშაულად, ყველა არსებული მტკიცებულებისა და თვითმხილველთა ჩვენებების

⁴ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე **L.K. against the Netherlands** <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22itemid%22:%5B%22001-192437%22%5D%7D>;

⁵ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეებზე **M.C. and A.C. v. Romania**, **Identoba and Others V. Georgia** და **Angelova and Iliev v. Bulgaria**.

გათვალისწინებით⁶. დაზარალებულის უფლებამონაცვლის ინტერესების დამცველი ორგანიზაცია ადამიანის უფლებათა ცენტრი მიიჩნევდა, რომ საგამოძიებო ორგანოების მხრიდან, აღნიშნული გარემოების იგნორირება ხელს უშლიდა საქმეზე ეფექტიან, ყოვლისმომცველ და მიუკერძოებელ გამოძიებას. შესაბამისად ორგანიზაციის მოთხოვნა იყო დანაშაულის ჭკუფურობის ელემენტის გათვალისწინება ბრალის წარდგენისას.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა 2019 წლის 8 აპრილს წერილით მიმართა ქალაქ თბილისის პროკურატურას და მოითხოვა საქმეზე ობიექტური და ყოველმხრივი გამოძიება და მისი კიდევ ერთხელ გადაკვალიფიცირება ჭკუფურ დანაშაულად, რამდენადაც საქმეში არსებული არაერთი მტკიცებულება და მათ შორის თვითმხილველთა ჩვენებები ცალსახად ადასტურებდა ორივე ბრალდებულის აქტიურ თანამონაწილეობას ქმედების შემადგენლობის განხორციელებაში. სახელმწიფოს მიერ აღნიშნული პასუხისმგებლობის ყოველმხრივ სრულყოფილად განხორციელების ვალდებულებაზე, საკუთარი ინიციატივით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიუთითებს საქმეში *Mutatis mutandis, İlhan v. Turkey* ([GC], no. 22277/93, პუნქტი 63, ECHR2000-VII), სადაც აღნიშნავს, რომ:

„ხელისუფლებამ ყოველმხრივ უნდა იმოქმედოს საკუთარი ინიციატივით, როდესაც საქმე მის ყურამდე მივა. ხელისუფლება არ უნდა დაელოდოს უახლოესი ნათესავის მიერ საჩივრის შეტანას ან თხოვნას მოკვლევის ან გამოძიების ჩატარების შესახებ“¹.

საბოლოოდ, 2019 წლის 17 აპრილს, თბილისის პროკურატურისაგან ადამიანის უფლებათა ცენტრმა პასუხი, რომ მოთხოვნა დაკმაყოფილდა და ავთანდილ კანდელაკიშვილსა და გიორგი სოხაძეს წარედგინათ ბრალდება საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით, რაც გულისხმობს განზრახ მკვლელობას დამამძიმებელ გარემოებებში - ჭკუფურად, ეროვნული შეუწყნარებლობის გამო.

ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, მიუხედავად 6-თვიანი ლოდინისა, საბოლოოდ თბილისის პროკურატურამ მიიღო სამართლებრივად სწორი და დასაბუთებული გადაწყვეტილება, რაც თავის მხრივ, უნდა დახმარებოდა სასამართლოს საქმეზე ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებაში. ამ მხრივ, უმნიშვნელოვანესია ეუთოს სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებიც მიუთითებენ, რომ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან გამკლავება სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის აქტორებს - პოლიციას, პროკურატურასა და სასამართლოს შორის

⁶ იხ. პლატფორმა „არა ფობიას!“ მიმართვა: <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19792&lang=geo> და ასევე - თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის მიმართვა: <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19839&lang=geo> ;

ახლო კოოპერაციულ მუშაობას მოითხოვს, მაგრამ არა მხოლოდ ოპერაციულ, არამედ პოლიტიკის დონეზე⁷. ამასთან, დანაშაულის უნიფიცირებული დეფინიციის არსებობა მხოლოდ ხელს შეუწყობს აღნიშნული თანამშრომლობის წარმატებულობას.

ადამიანის უფლებათა ცენტრი მიესალმება თბილისის პროკურატურის ამ პრეცედენტული მნიშვნელობის გადაწყვეტილებას. ამავე დროს, ეს საქმე უნდა გახდეს წყალგამყოფი აქამდე არსებულ მანკიერ პრაქტიკასა და სამომავლოდ სიძულვილით მოტივირებული სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებისას ახალი სტანდარტების დამკვიდრებას შორის. სახელმწიფოს მიერ დანაშაულის გამოძიების ნაწილში ჯეროვანი გულისხმიერების სტანდარტის არსებობა ხელს შეუწყობს დანაშაულის თავიდან აცილებას, გამოძიებისა და დასჯის ეფექტიანობას და ამ მხრივ, სამართლიანი პოლიტიკის წარმართვას.

ამასთან, აუცილებელია, საგამოძიებო უწყების მხრიდან, კონკრეტულ შემთხვევებში, პირველადი გამოკითხვის დროსვე გამახვილდეს ყურადღება შესაძლო სიძულვილის მოტივის არსებობა-არარსებობის საკითხზე. მით უფრო, ისეთ შემთხვევებში, სადაც ნათელია სპეციალური ჯგუფების არსებობა (ეთნიკური თუ რელიგიური უმცირესობები, LGBTIQ პირები და სხვა განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფები), რათა გამოძიება სრული და ყოვლისმომცველი იყოს და საფრთხე არ შეექმნას საქმეზე ობიექტური ქვშმართების დადგენას. სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ყველა ფორმას აქვს საერთო სპეციფიკა და მახასიათებლები, მათ შორის - მსხვერპლისათვის მიყენებული არსებითად მძიმე ზიანი და ემოციური გამოცდილება და დანაშაული თავისი სპეციფიკით მიმართულია არა მხოლოდ ცალკეული ინდივიდის, არამედ იმ ჯგუფის მიმართაც, რომელთანაც მსხვერპლის ასოცირება ხდება. ამიტომ ამ დანაშაულების არაორდინალური სპეციფიკა საჭიროებს სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოების განსაკუთრებულ მიდგომას და აუცილებელს ხდის სახელმწიფოში ერთიანი ხედვის/ პოლიტიკის არსებობას.

ვიტალი საფაროვის მკვლელობის საქმეში, სასამართლო პროცესზე დაცვის მხარე სწორედ სიძულვილის მოტივის თავდაპირველ გამოკითხვებში არარსებობაზე აპელირებდა, რაც სამართლებრივად ვერ გახდება გამოძიების სისწორეში ეჭვის შეტანის საფუძველი, მაგრამ ადამიანის უფლებათა ცენტრი მოუწოდებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ყველა კონკრეტულ შემთხვევაში უზრუნველყოს გამოძიების წარმართვა სრული მოცულობით და განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილოს აღნიშნული ნიშნების არსებობის საკითხზეც, რაც ასევე შეესაბამება სისხლის სამართლის პოლიტიკის მიზნების რეალიზებას.

⁷ OSCE Prosecuting hate crimes. A practical guide, გვ. 17-18, იხ: <http://www.osce.org/odihhr/prosecutorsguide?do wnload=true> ;

3. სასამართლოს გადაწყვეტილება

2019 წლის 16 აპრილს, დილით, თბილისის საქალაქო სასამართლოში ვიტალი საფაროვის მკვლელობის საქმის სასამართლო განხილვა დაიწყო. პროცესის დაწყებამდესასამართლოს ებოში ჩართულობის და განვითარების ცენტრის ორგანიზებით, გაიმართა მშვიდობიანი სოლიდარობის აქცია ვიტალი საფაროვის ოჯახის მხარდასაჭერად. აქციის მონაწილეებმა რასიზმი, ქსენოფობია და ძალადობა გააპროტესტეს. სასამართლო პროცესზე, მიუხედავად დაცვის მხარის შუამდგომლობისა, აღმკვეთი ღონისძიების სახით სასამართლოს ავთანდილ კანდელაკიშვილისათვის პატიმრობის ნაცვლად გამოეყენებინა გირაო 10.000 ლარის ოდენობით, ხოლო გიორგი სოხაძე გაეთავისუფლებინა, თბილისის საქალაქო სასამართლომ ორივე ბრალდებული წინასწარ პატიმრობაში დატოვა.

აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, შემდგომ სასამართლო სხდომებზე გამოკვლეული მტკიცებულებები, დაკითხული მოწმეების ჩვენებები, მათ შორის ინციდენტის უშუალო მონაწილის, ბრალდებულების მეგობრის, ნ შ-ს ჩვენებამ, არსებითად დაადასტურა სახელმწიფო ბრალდების სიზუსტე და ცხადყო ბრალდებულთა სიძულვილით განპირობებული მოტივის არსებობა, რაც კონფლიქტში ყველაზე პასიურობით გამორჩეული ვიტალი საფაროვის მკვლელობით დასრულდა. ამასვე ადასტურებს მოწმის ზ მ-ა და სხვა არაერთი პირდაპირი მოწმის ჩვენებებიც, რომლებიც ცალსახად აღნიშნავენ, რომ ბრალდებულთა ქმედება საფაროვის ეთნიკურმა კუთვნილებამ გამოიწვია და უშუალოდ ქმედების შემადგენლობის განხორციელების დროსაც ორივე ბრალდებულისგან ანთისემიური შეძახილები ესმოდათ.

საქმის არსებითად განხილვის დასრულების შემდეგ, 2019 წლის 10 ივნისს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით. მოსამართლემ ბრალდებულები გიორგი სოხაძე და ავთანდილ კანდელაკიშვილი ცნო დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით, რაც გულისხმობს განზრახ მკვლელობას ჭკუფურად. რაც შეეხება სსკ-ის 109-ე მუხლის მეორე პუნქტის „დ“ ქვეპუნქტს, სასამართლომ აღნიშნული დამამძიმებელი გარემოება ამორიცხა ორივე ბრალდებულთან მიმართებაში.

ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, მოსამართლის მსჯელობა ქმედების შემადგენლობის ჭკუფურობასთან დაკავშირებით, სამართლებრივად არსებითად სწორია და გამართულად არის ფორმულირებული, რამდენადაც საქმეში არსებული არაერთი მტკიცებულებით ორივე ბრალდებულის თანამონაწილეობა გამოიკვეთა აქტიური მოქმედებით. შესაბამისად, ამ ნაწილში არც რელევანტური სამართლებრივი ნორმის გამოყენების და არც დასაბუთებულობის პრობლემას არ ვაწყდებით.

ამის პარალელურად, კრიტიკას ვერ უძლებს მოსამართლის გადაწყვეტილება ბრალდებიდან სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის ამორიცხვასთან დაკავშირებით.

გადაწყვეტილებაში მოსამართლე მიუთითებს, რომ: „დანაშაულის ამ ნიშნით (სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი) დამძიმებისთვის ეროვნული ნიშანი უნდა იყოს ბრალდებულთა ქმედების ერთადერთი მოტივი, სწორედ ამის გამო უნდა სჩადიოდეს პირი მკვლელობას, ყველა სხვა წინაპირობის გარეშე“. მოსამართლის მიერ ამ ნორმის მსგავსი ინტერპრეტაცია არ შეესაბამება ნორმის რეალურ მიზანს და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მსგავსი ნორმების განმარტების პრაქტიკასაც ეწინააღმდეგება.

ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობა მკვლელობის ერთ-ერთ მაკვალიფიცირებელ გარემოებად ითვალისწინებს მის ჩადენას რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობის გამო, რაც სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტშია მოცემული. თავის მხრივ, ამ ქვეპუნქტის არსებობა განპირობებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით, რომელიც იცავს ადამიანთა თანასწორუფლებიანობას. ასევე, ამ მუხლის მიზანი ითვალისწინებს სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-20 მუხლის მოთხოვნებს, რომლის თანახმადაც, ყოველგვარი გამოსვლა ეროვნული, ეთნიკური ან რელიგიური შეუწყნარებლობის სასარგებლოდ, დისკრიმინაციის წაქეზება, მტრობა და ძალადობა კანონით უნდა აიკრძალოს⁸.

ამ გარემოების არსი მდგომარეობს დაზარალებულის სხვა რასის, ეროვნების, ეთნიკური ჯგუფის თუ რელიგიისადმი კუთვნილების გამო სიძულვილში. ამ ქმედების ჩადენა გულისხმობს პირის მტრულ განწყობას სხვა რასისა თუ ეთნოსის მქონე პირის მიმართ, რაც პიროვნულ კონფლიქტში გადაიზრდება. ამ პუნქტით კვალიფიკაციისას გამორიცხული არაა სხვა მოტივის არსებობაც, მაგრამ აუცილებელია ამ მოტივის დომინირება. უმეტეს შემთხვევაში ეს დანაშაული პირდაპირი განზრახვით ხასიათდება.

ის ფაქტი, რომ შელაპარაკება სხვა თემამზე დაიწყო, ვერ და არ შეიძლება იყოს ამ მოტივის შემდგომში წარმოშობის გამომრიცხველი. ამ სახის დანაშაულში კონკრეტულ მოტივს არსებითი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან კანონმდებელი სოციალურად უფრო საშიშ და დასაძრახად მიიჩნევს მკვლელობას, რომელიც შეუწყნარებლობის გამო ხდება. ამ შემთხვევაში, სახეზე გვაქვს სწორედ მსგავსი შემთხვევა: საფაროვის მიერ მის ეთნიკურ კუთვნილებაზე ხაზგასმა რომ არა, შესაძლოა, კონფლიქტი სისხლისღვრის გარეშე დამთავრებულიყო. ამასვე ადასტურებს საქმეში წარმოდგენილ მოწმეთა უმრავლესობა. ამიტომ,

⁸ იხ. სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-20 მუხლი.
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1398335?publication=0>;

ეს მოტივი, ცხადია, ვერ იარსებებდა მანამ, სანამ დამნაშავეებს ექნებოდათ ცოდნა მსხვერპლის ეთნიკური კუთვნილების შესახებ. ის ფაქტი რომ შელაპარაკება მანამდე იყო დაწყებული, საერთოდ არ გამორიცხავს ბრალდებულთა ქმედების მოტივს, რადგან ეს საქმე შეიძლება პირობითად დაიყოს ორ ეტაპად, პირველი - შელაპარაკება საქართველოს შეგინების გამო, რომელიც სიტყვიერი შელაპარაკებით მიმდინარეობს და რომელშიც საფაროვის მონაწილეობა ნომინალურია, მეორე ეპიზოდში კი, მას შემდეგ, რაც საფაროვის ეთნიკური კუთვნილება გამჟღავნდება, იგი აგრესიას იწვევს შ-ი და ხდება მისი მხრიდან ფიზიკური ანგარიშსწორების მსხვერპლი, ხოლო შემდგომ, ისე, რომ დაზარალებულს წინააღმდეგობის გაწევის საშუალებაც არ აქვს, დამნაშავეები ჯგუფურად კლავენ საფაროვს და ყვირიან ანტისემიტურ ფრაზებს. თავად შ-ს ჩვენებითაც, დამნაშავეების მოქმედების ერთადერთი მოტივი საფაროვის ებრაელობა იყო.

ბუნდოვანია ის ფაქტობრივი გარემოებები, რითაც საქმის განმხილველი მოსამართლე დარწმუნდა, რომ თავდასხმის შემდეგ წაბორძიკებული საფაროვი (რომელმაც შ-ს პასუხის დაბრუნება ვერც მოასწრო, როგორც ამას პროცესზე ბრალდებულები ამბობდნენ) თავდაცვის მიზნით მოკლეს და არა - ეთნიკური შეუწყნარებლობის საფუძველზე, რაზეც საქმეში პირდაპირი მტკიცებულებები არსებობს. იმისათვის, რომ დადგინდეს ამ ნიშნის არსებობა, არ არის აუცილებელი, ქმედების შემადგენლობამდე განვითარებული ყველა მოვლენა ერთი და იგივე მიზნით იყოს დეტერმინირებული. ამ დამამძიმებელი ნიშნის არსებობისთვის აუცილებელია, რომ თავად ქმედების შემადგენლობის (მკვლელობის) განხორციელებისას დამნაშავის ძირითადი მოტივი იყოს რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობა.

შეუწყნარებლობის მოტივზე საუბრისას, საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ორივე ბრალდებულს ჰქონდა თავდასხმამდე ცოდნა მსხვერპლის ებრაელობასთან დაკავშირებით. სწორედ ამიტომ, მათი განსაკუთრებული აგრესიის ობიექტი არა თავდაპირველი შელაპარაკების დამწყები პირი გახდა, არამედ ვიტალი საფაროვი, რომელიც შელაპარაკებაში თითქმის არ მონაწილეობდა. შესაბამისად, მის მიმართ აგრესია როგორც შ-ს, ისე სოხაძისა და კანდელაკიშვილის მხრიდან დეტერმინირებული სწორედ მისი ეთნიკური კუთვნილების გამო იყო, რაც ქმედების შემადგენლობის ასრულებისას აისახა კიდევ დამნაშავეების ანტისემიტურ შეძახილებში - („მოკალი, ამის ებრაელი დედა!..“ და „შენი ებრაელი დედა!..“).

გადაწყვეტილებაში მოსამართლე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ბრალდებულთა რელიგიური მრწამსი და შეხედულებები, კონკრეტულ შემთხვევაში, არ წარმოადგენს სასამართლო განხილვის საგანს. მსგავსი დამოკიდებულება, ამ საქმის სპეციფიკიდან გამომდინარე, დაუშვებელია.

თუ ვსაუბრობთ რელიგიური ან ეთნიკური ნიშნის არსებობაზე და შეუწყნარებლობით ჩადენილ დანაშაულზე, სასამართლოსთვის სწორედაც რომ მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო საქმისთვის რელევანტური

სწორად წარმართვა. ამას გარდა, ამ საქმეში მხოლოდ ერთი მოწმის ჩვენება ფიგურირებდა. ისიც გასაგებია, რომ სასამართლოსთვის მხოლოდ ერთი შეძახილი – „თქვე ბინძურო ბოშებო“ - ვერ გახდებოდა კვალიფიკაციის საფუძველი. ამასთან, სასამართლომ ცალსახად აღნიშნა, რომ სახელმწიფოს უნდა ჩაეტარებინა მოკვლევა ამ ფაქტთან დაკავშირებით, რაც კონკრეტულ შემთხვევაში არ მოხდა. საფაროვის საქმეში სურათი არსებითად განსხვავებულია - სახელმწიფო ბრალდების მიერ მოპოვებული მტკიცებულებათა ერთობლიობით დასტურდება არა მხოლოდ შეძახილი ორივე დამნაშავის მიერ, არამედ მათი იდეოლოგიური კუთვნილება და რასობრივი დისკრიმინაციის პრეისტორიები, ასევე მსხვერპლის მხრიდან მომავალი არარსებული საფრთხე, მის მიერ თავისი ეთნიკური იდენტობის გაზიარება დამნაშავეთათვის, დამნაშავეთა განსაკუთრებული სისასტიკე - ქრილობების არაერთგზისობა და ა.შ.

ევროპულმა სასამართლომ თავის არაერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ სახელმწიფოს მიერ საქმის გამოძიების ან სასჯელის დაკისრებისას დისკრიმინაციული მოტივის ყურადღების მიღმა დატოვება შეიძლება წარმოადგენდეს არაპირდაპირ დისკრიმინაციას. ერთ-ერთ საქმეში *Angelova and Iliev v. Bulgaria*, საკუთარ გადაწყვეტილებაში, სასამართლომ მიუთითა, რომ „სახელმწიფოს აქვს ზოგადი ვალდებულება, კონვენციის მე-2 მუხლის ფარგლებში განახორციელოს ეფექტიანი გამოძიება სიცოცხლის უფლების დარღვევის საქმეებში, რომელიც უნდა წარიმართოს დისკრიმინაციის გარეშე, როგორც ამას მოითხოვს კონვენციის მე-14 მუხლი. ამასთანავე, ძალადობრივი ინციდენტის გამოძიებისას ხელისუფლებას აქვს დამატებითი ვალდებულება, გადადგას ყველა გონივრული ნაბიჯი, რათა გამოააშკაროს ნებისმიერი (რასისტული) მოტივი და დაადგინოს, თუ რამდენად იყო შესაძლებელი, (ეთნიკურ) სიძულვილს ან ცრურწმენას ეთამაშა როლი აღნიშნულ მოვლენებში. სახელმწიფოს მიერ რასობრივი მოტივით გამოწვეული ძალადობისა და სისასტიკისადმი იმგვარი მოპყრობა, როგორც მოეპყრობოდა (რასისტული) ელფერის არმქონე დანაშაულს, წარმოადგენს ფუნდამენტურ უფლებათა განსაკუთრებით დამანგრეველი ქმედებების სპეციფიკურ ბუნებაზე თვალის დახუჭვას. ისეთი სიტუაციები, რომლებიც არსებითად განსხვავებულია, ხოლო სახელმწიფო განიცდის მარცხს მათ განსხვავებაში, შესაძლოა, შეიცავდეს კონვენციის მე-14 მუხლთან შეუთავსებელ დაუსაბუთებელ მოპყრობას“⁴.

გარდა აღნიშნულისა, ევროსასამართლომ ერთ-ერთ უახლეს გადაწყვეტილებაში *M.C. and A.C. v. Romania*, დამატებით განმარტა, რომ დისკრიმინაციული მოტივის გამოსაკვეთად სახელმწიფოს უნდა გამოეყენებინა ეროვნულ კანონმდებლობაში არსებული ყველა საშუალება, რათა აღნიშნული ქმედება არ განეხილათ იმ დანაშაულების მსგავსად,

რომელსაც ამგვარი მოტივი არ აქვს¹⁰. შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაული, შესაძლოა, აღიქმებოდეს, როგორც ძალაუფლების მექანიზმი, რომლის მიზანია ფიზიკური ძალადობითა და მუქარის საშუალებით საზოგადოებაში გარკვეულწილად უკვე არსებული იერარქიების შენარჩუნება. ის, ძირითადად, მიმართულია მათ წინააღმდეგ, ვინც ჩვენს საზოგადოებაში სტიგმატიზებული და მარგინალიზებულია. აღნიშნული პერსპექტივიდან ამგვარი დანაშაულები დანახულია, როგორც გენდერირებული და რასობრივ განსხვავებაზე დაფუძნებული წესრიგის დაცვის ინსტრუმენტი. ამგვარ დანაშაულებში კონკრეტულ მსხვერპლს მხოლოდ სიმბოლური დატვირთვა აქვს და შემთხვევითია, ხოლო ქმედება მიმართულია არა მხოლოდ ამ კონკრეტული პირის, არამედ იმ ჯგუფის წინააღმდეგ, რომელსაც მსხვერპლი რეალურად თუ ნავარაუდევად მიეკუთვნება. სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები უნდა დავინახოთ, როგორც შეტყობინების შემცველი ქმედებები, რადგანაც ის მიემართება არა მხოლოდ მსხვერპლს, არამედ სუბორდინირებულ ჯგუფს¹¹. აღნიშნული, ცხადია, დანაშაულების ფოკუსსა და ზეგავლენას აფართოებს კონკრეტული მსხვერპლის მიღმა და მოწყვლადობისა და სასოწარკვეთის განწყობას გადასცემს კონკრეტული ჯგუფის წევრებს. ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ დანაშაულები, რომლებიც მოტივირებულია შეუწყნარებლობითა თუ წინასწარგანწყობით, პიროვნების ფუნდამენტური და ძირეული იდენტობით ან განსხვავებულობით, უფრო მეტად მტკივნეულია, ვიდრე დანაშაულები ამგვარი მოტივის გარეშე. შესაბამისად, ამგვარი დანაშაულის შინაარსში „სიძულვილი“ კონცეპტუალიზებული უნდა იყოს, როგორც „წინასწარგანწყობა“, რაც, ასევე შეიძლება უშუალოდ ქმედების შემადგენლობის განხორციელების დროს წარმოეშვას დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენ პირს. როგორც პოლიტიკის დოკუმენტები, ასევე აკადემიური ტექსტები ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს, რომ ამგვარ დანაშაულთა განსაზღვრისას, სიტყვა „სიძულვილი“ არ უნდა აღიქმებოდეს პირდაპირი მნიშვნელობით; უფრო მეტიც, ამან შეიძლება, შეცდომაში შეიყვანოს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები, რადგანაც შესაძლოა, განმარტონ იმგვარად, რომ დაცვის ქვეშ მყოფ ადამიანს აუცილებლად უნდა სძულდეს მსხვერპლი ან ის ჯგუფი, რომელსაც მსხვერპლი მიეკუთვნება, რათა დანაშაული სიძულვილით მოტივირებულად მიიჩნეოდეს. თუმცა, ეს არ არის სწორი განმარტება. ჩვეულებრივ დანაშაულებრივ ქმედებას სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულად აქცევს დამნაშავის მიერ მსხვერპლის შერჩევა იმ ჯგუფის შეუწყნარებლობით, რომელსაც მსხვერპლი მიეკუთვნება. ცხადია, ეს არ გამორიცხავს „სიძულვილს“, როგორც ძლიერი ნეგატიური ემოციის ფლობას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენში არ არის შეფასებული სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულების ის უარყოფითი სოციალური ეფექტი, რომელიც შესაძლოა, არსებით საფრთხეს უქმნიდეს როგორც

¹⁰ იხ. CASE OF M.C. AND A.C. v. ROMANIA, 12 April 2016, პარა. 11: <https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-161982>;

¹¹ Barbara Perry “In the Name of Hate”, 2001, გვ. 3.

საზოგადოებაში პლურალიზმისა და თანასწორობის პრინციპის დამკვიდრებას, ასევე დემოკრატიული და უსაფრთხო გარემოს შექმნას, რომლის უზრუნველყოფა სახელმწიფოს ვალდებულებაა, კონსტიტუციური ორგანოების მეშვეობით, მათ შორის - სასამართლოს მიერ მიღებული სამართლიანი გადაწყვეტილებით.

ამდენად, ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის მოსამართლის, შორენა გუნცაძის გადაწყვეტილება ბრალდებულთა შეუწყნარებლობის მოტივთან დაკავშირებით, არის სამართლებრივად დაუსაბუთებელი. ქმედების შემადგენლობის განხორციელების დადგენისას, მოსამართლე დაეყრდნო საქმის ყველა პირდაპირ მოწმეს, მაგრამ იმავე მოწმეების ჩვენება მკვლელობის მოტივთან დაკავშირებით არ გაითვალისწინა.

სამართლიანობა ვერ იხეიმებს, ვიდრე ზუსტად და კვალიფიციურად არ მიეცემა სასამართლოს მიერ სამართლებრივი შეფასება აღნიშნულ დანაშაულს. ადამიანის უფლებათა ცენტრი განაგრძობს დაზარალებული ვიტალი საფაროვის უფლებამონაცვლის ინტერესების დაცვას სასამართლოს ზემდგომ ინსტანციაში და იმედოვნებს, რომ აღნიშნული საქმის სააპელაციო სასამართლოში განხივლისას, კოლეგია გაითვალისწინებს ყველა გარემოებას და სწორ, კვალიფიკაციურ შეფასებას მისცემს აღნიშნულ დანაშაულს. ეს კი, თავის მხრივ, მნიშვნელოვანია როგორც ამ საქმეზე სამართლიანობის მისაღწევად, ასევე - სიძულვილით მოტივირებული მსგავსი დანაშაულების პრევენციისთვის და სასამართლოს სწორი პრაქტიკის განვითარებისთვის.